ოზურგეთში ველო-მარათონი გაიმართა

ოზურგეთში ველო-მარათონი გაიმართა, რომელშიც ოზურგეთის მერთან, **ავთანდილ თალაკვაძესთან** ერთად, მონაწილეობა მიიღეს სპორტსმენებმა და ველომოყვარულებმა, მათ შორის უცხოელმა სტუმრებმა.

მარათონის მონაწილეებმა სტარტი სოფელ მთისპირიდან – ბახმაროს მიმართულებით აიღეს.

– „დღეს სპორტსმენებთან და ველომოყვარულებთან ერთად სოფელ მთისპირის გავლით ბახმაროს მიმართულებით ავიღეთ სტარტი. ეს პროექტი ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ახალგაზრდების სპორტში ჩართვას, ველოსპორტისა და გურიის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას დაეხმარება. მადლობას ვუხდი „კავკასიის ველო ქსელს“ მხარდაჭერისთვის. მადლობა სპორტსმენებს და ჩვენს თანამოქალაქეებს ამ კამპანიაში ჩართვისთვის და ველო მარათონში მონაწილეობისათვის“,– აღნიშნა ოზურგეთის მერმა.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 19 (10455) 5 სექტემბერი 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო.

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო.

საკრებულოს წევრებმა, რაჭაში, კურორტ შოვში მომხდარი სტიქიის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას პატივი წუთიერი დუმილით მიაგეს.

ამის შემდეგ ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე ხმაურით დაიწყო. სიტყვიერი დაპირისპირება ჯერ კიდევ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე მოხდა. ფრაქცია ნაციონალირი მოძრაობის წევრმა **თათია ნიკოლაშვილმა** თხილზე დაბალი ფასი გააპროტესტა. ნიკოლაშვილის განცხადებით, მაშინ, როცა გურული გლეხების ერ-თადერთი შემოსავალი თხილის მოსავალია, წელს ერთი კილოგრამი თხილი 2 ლარი ღირს, რაც გურიის რეგიონისთვის კატასტროფის მომტანია. ნიკოლაშვილმა აღნიშნულ ვითარებასთან დაკავშირებით ხელისუფლება უმოქმედობაში დაადანაშაულა, თავის მხრივ, ფრაქცია „ქართულმა ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა **ქეთი ხომერიკმა** ოპოზიცია დესტრუქციაში დაადანაშაულა და მათ პროვოკატორები უწოდა, რომელებიც ხალხის სახელით სპეკულირებენ.

თათია ნიკოლაიშვილმა საგანგებოდ მოტანილი თხილის პაკეტი საკრებულოს თავმჯდომარის მაგიდაზე დადო და სხდომა დატოვა...

სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებულ 15 საკითხზე იმსჯელეს.

საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემდეგი განკარგულების პროექტები:

გვ–3

გზა, რომელიც განსაკუთრებულად რთულ გეოგრაფიულ და კლიმატურ ზონაში შენდება

ალიონი. გასული საუკუნის 80-იანი წლებში გურიაში გზების მშენებლობის ისტორიაში საუკუნის პროექტი განხორციელდა. 1986 წელს დაიწყო ხიდისთავი-ბახმაროს 52 კილომეტრიანი გზის მშენებლობა. ცალკეულ უბნებად დაყოფილ მონაკვეთებზე მუშაობდნენ: ცაგერის, ოზურგეთის, ბათუმის, ამბროლაურის, სუფსის საგზაო სამმართველოები. და უბნები. ბუნებრივია ამ პროცესებში ჩართული იყო ჩოხატაურელი მეგზაურებიც.

გაზეთი „ალიონი“ ხშირად აშუქებდა ბახმაროს გზის მშენებლობას და ვხედავდით, როგორ ყურადღებას აქცევდა ამ პროექტს საქართველოს იმჟამინდელი საავტომობილო გზების მინისტრი ბორის სალარიძე; ხშირად ვნახულობდით მშენებლობებზე ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილ მეგზაურებს თემურ ჯახვას და დავით ჟღენტს.

1990 წელს ხიდისთავი-ბახმაროს გზა საზეიმოდ გაიხსნა. თემურ ჯახვას და დავით ჟღენტს საქართველოს დამსახურებული მეგზაურების წოდებები მიენიჭათ. შემდეგ ბატონი დავითი საქართველოს პარლამენტის წევრი გახდა. ამჟამად საქართველოში ერთ-ერთი დიდი საგზაო კომპანიას „**NEW ROAD**“, მისი ვაჟი დავით ჟღენტი (უმცროსი) ხელმძღვანელობს. აღნიშნული კომპანიის მიერ ბოლო პერიოდში განხორციელებული პროექტებია: ზემო იმერეთი-რაჭის საავტომობილო გზა, რომელიც 1850 მეტრი სიმაღლის უღელტეხილს გაივლის; ონი-კვაისა, ქუთაისი-ტყიბულის (გელათის გავლით), ჭიათურა-საჩხერეს, საირმე - აბასთუმანის და სხვა საავტომობილო გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

რაც მთვარია, 34 წლის მუშაობის შემდეგ ბახმაროს გზის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც „**NEW ROAD**“ ახორციელებს .ასევე რიკოთზე, ჩამოქცეულ მონაკვეთის სამუშაოები აღნიშნულ კომპანიას მიანდეს.

ახლახან, შოვში მომხდარი ტრაგედიის სალიკვიდაციო სამუშაოებში აქიურად მონაწილეობდა კომპანია **NEW ROAD**.“ მათგან დაკარგულთა საძიებო სამუშაოებზე ათეულობით მძლავრი ტექნიკა მუშაობდა.

საქართველოში თანამედროვე გერმანული ასფალტის ქარხანა სულ ოთხია და აქედან 3 აღნიშნულ კომპანიას ეკუთვნის.

ეს ისტორია იმაზე მეტყველებს, როგორი გამოცდილება აქვთ და რაოდენ პასუხისმგებლობით ეკიდებიან ამ კომპანიის მეგზაურები ბჟუჟჰესი-გომისმთის გზის მშენებლობას, რომელიც 2021 წელს დაიწყო. მშენებლობის დასრულება მომავალ წელსაა გათვალისწინებული. აღნიშნული მშენებლობის ღირებულება 19,8 მილიონ ლარს შეადგენს.

ჩვენ ადგილზე მოვინახულეთ მშენებლობა, და შემდეგ შპს „NEW ROAD“გენერალურ დირექტორს **დავით ჟღენტს** ვესაუბრეთ:

–ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟჰესი-გომისმთის მე-13 –32-ე კილომეტრზე 2021 წლიდან მიმდინარეობს გზის მშენებლობა.

მშენებლობის პროცესში აღმოჩნდა, რომ გზა შენდება განსაკუთრებულად რთულ გეოგრაფიულ და კლიმატურ ზონაში, ძალიან რთული გეოლოგიური აგებულების ქანებით, წყალგაჯერებული გრუნტებით, ხშირი ნისლით და წვიმით, რომლის შედეგად დღეღამის უმეტეს დროს ცუდია ხილვადობა და არაკეთილგანწყობილი (ქვათაცვენა), რაც საშიშია სამშენებლო ორგანიზაციისათვის, ხოლო

გვ–4

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვეორგი ფოფოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი

რეგისტრირებულია

ოზურგეთის რაიონულ

სასამართლოში 18. 11. 2004

№44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

„მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი გურიის სახელმწიფო რწმუნებულთან ერთად თხილის ჩაბარების პროცესს ადგილზე გაეცნო

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია** გურიის სახელმწიფო რწმუნებულ **გიორგი ურუშაძესთან** ერთად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ქვემო აკეთში, თხილის ჩაბარების პროცესს ადგილზე გაეცნო და მეთხილე ფერმერებს შეხვდა.

როგორც მინისტრმა განაცხადა, ფერმერებმა, რომლებმაც მიზნობრივი პროგრამის მხარდაჭერით ისარგებლეს, გასულ წელთან შედარებით, წელს უკეთესი მოსავალი აქვთ.

–„სოფლის მეურნეობის მინისტრთან ოთარ შამუგიასთან ერთად დღეს სოფელ აკეთში შევხვდით თხილის მწარმოებელ ფერმერებს თხილის შემნახველ საწარმოში. აღნიშნულ საწარმოს აქვს შესაძლებლობა, შეინახოს 1000 ტონა პროდუქცია, რაც ფერმერებს აძლევს შესაძლებლობას, რომ სამომავლოდ უფრო მაღალ ფასში მოახდინონ შენახული პროდუქციის რეალიზება. საწარმოს ღირებულება მთლიანად შეადგენს, დაახლოებით, ერთ მილიონ ლარს, საიდანაც სახელმწიფოს დაფინანსება გახლავთ 40 პროცენტი, ეს საწარმო შეიქმნა შეღავათიანი აგროკრედიტის საშუალ-ებით. მინდა მოვუწოდო ჩვენს თხილის მწარმოებელ ფერმერებს, რომ მიზნობრივად ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი დაფინანსებითა და შესაძლებ-ლობებით თხილის წარმოების ხელშე-წყობის თვალსაზრისით, რათა შემდგომში მივიღოთ უფრო მაღალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც კონკურენტუნარიანი იქნება როგორც ადგილობრივ, ასევე, საერთაშორისო ბაზარზე“, – განაცხადა გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა **გიორგი ურუშაძემ.**

შეხვედრას თხილის მწარმოებელთა ასოციაციის წევრი ფერმერები ესწრებოდნენ, რომლებმაც იმ პროგრამების მნიშვნელობაზე ისაუბრეს, რასაც სახელმწიფო მეთხილეობის დარგის განვითარების ხელშეწყობისთვის ახორციელებს.

შეხვედრა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ თხილის შემნახველ საწარმოში გაიმართა, სადაც ერთდროულად 1,000 ტონამდე თხილის შენახვაა შესაძლებელი. კომპანია შპს „ჯი-ეიჩ-ჯი-ეი კომერშიალ“ სოფლის განვითარების საგენტოს „სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გადამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების“ პროექტის ბენეფიციარია. საწარმოში, ჯამურად, 1 მლნ ლარზე მეტის ინვესტიცია განხორციელდა, საიდანაც 390,000 ლარზე მეტი სახელმწიფო გრანტია, ხოლო 390,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

ფერმერებთან შეხვედრას სოფლის განვითარების საგენტოს ხელმძღვანელი **დავით წითლიძე,** გურიის რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატი **ვასილ ჩიგოგიძე,** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები და „თხილის მწარმოებელთა ასოციაციის“ თავმჯდომარე **გიორგი თოდუა** ესწრებოდნენ

ოთარ შამუგია და გიორგი ურუშაძე გურიაში მეთხილე ფერმერებს შეხვდნენ

.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი **ოთარ შამუგია** და გურიის სახელმწიფო რწმუნებული **გიორგი ურუშაძე,** ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფელ გუთურში, ფერმერ **ლევან კაპანაძის** თხილის პლანტაციაში იმყოფებოდნენ, სადაც თხილის კრეფის პროცესს გაეცნენ და იმ ფერმერებს შეხვდნენ, რომლებმაც აგრობარათებზე დარიცხული ქულები მიზნობრივად გამოიყენეს.

ოთარ შამუგიას განცხადებით, თხილის ნაწილში ამოქმედებული პირველი მიზნობრივი მხარდაჭერის პროგრამა იმ პრაქტიკით მუშაობს, რაც ევროკავშირშია მიღებული.

„თითოეულ მცირე ფერმერს მიზნობრივად დავეხმარეთ, თხილის მოვლის კონკრეტული საშუალებებისთვის გავუწიეთ დახმარება. რაც შეეხება სხვა მიმართულებით მხარდაჭერას, სწორედ ჩვენი დაფი-ნანსებით და ჩვენი პროგრამების მეშვეობით ათეულობით ახალი საშრობი, ახალი გადამამუშავებელი საწარმოა შექმნილი. სექტორი, ფაქტია, ვითარდება და ამაში სახელმწიფოს მხარდაჭერა არის ძალიან მნიშვნელოვანი“, – განაცხადა მინისტრმა.

გურიის სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ თხილის მწარმოებელ ფერმერებს მოუწოდა მიზნობრივად ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი ფინანსებით და შესაძლებლობებით თხილის წარმოების ხელშეწყობის თვალსაზრისით, რათა ქონდეთ მაღალი ხარისხის პროდუქცია, რომელიც კონკურენტული იქნება, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე.

ფერმერების განცხადებით სახელმწიფოს მხარდამჭერი პროგრამები მათ ყოველწლიურად უკეთესი მოსავლის მიღებაში ეხმარებათ, რაც მათი შემოსავლის გაზრდასა და კეთილდღეობას ნიშნავს.

ქართული თხილის წარმოების ხელშეწყობისთვის, სახელწიფო პროგრამის თანახმად მეთხილე ფერმერებმა, რომელთაც საკუთრებაში ან/და ფაქტობრივ მფლობელობაში აქვთ ბაღი, არანაკლებ 0.2 ჰა და არაუმეტეს 3 ჰა. სახელმწიფოსგან ჰექტარზე 500 ლარიანი დახმარება მიიღეს.

სახელმწიფო პროგრამით ჯამში, 90 ათასზე მეტი ფერმერი სარგებლობს. 44 000 ჰექტარზე მეტ თხილის ბაღებში მავნებლების და დაავადებების საწინააღმდეგოდ ღონისძიებები ხორციელდება.

ოზურგეთში მუსიკათერაპიის ცენტრი გაიხსნება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერმა, ავთანდილ თალაკვაძემ მერიის ბოლო სხდომაზე მნიშვნელოვანი სიახლის შესახებ ისაუბრა, რომელიც ოზურგეთში მუსიკათერაპიის ცენტრის გახსნას ეხება. მისი თქმით მოპოვებული 20 000 ლარის გრანტით ქალაქ ოზურგეთის მე- 4 ბაღში მოეწყობა მუსთერაპიის ცენტრი, რომელიც ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვება.

„კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე ჩვენი თანამოქალაქეებისათვის – ქართულ-გერმანული მუსიკათერაპიის ცენტრ „ბეკართან“ ერთად ვმუშაობთ ოზურგეთში მუსთერაპიის ცენტრის გასახსნელად, რომელიც სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს მოემსახურება. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში გამოცხადებული საგრანტო კონკურსის გამარჯვებულია, მოპოვებული 20 000 ლარის გრანტით ქ. ოზურგეთში მე- 4 ბაღში მოეწყობა მუსთერაპიის ცენტრი, რომელიც ყველა საჭირო ინვენტარით აღიჭურვება. ცენტრი, შესაბამისი ინვენტარითა და გადამზადებული პერსონალით ყველა იმ ბავშვს მოემსახურება, ვისაც ეს სერვისი ესაჭიროება,“ – აღნიშნავს ავთანდილ თალაკვაძე.

საკრებულომ ინფრასტრუქტურული პროექტები დაამტკიცა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, მუნიციპალიტეტში 2023 წელში, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე განკარგულებაა დაამტკიცა. პროექტი **გოჩა აბაშმაძემ** წარმოადგინა.

ეს პროექტებია: **სოფ. დვაბზუ - ნასაკირალის დამაკავშირებელი შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია** – 2 305 440 ლარი;

სოფ. ბაილეთში მიმდებარედ შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია –403 760 ლარი;

და სოფ. ბაილეთის ცენტრიდან ჭანიეთურის საზღვრამდე შიდა სასოფლო გზის რეაბილიტაცია

1 416 670 ლარი.

– ეს პროექტი *მნიშვნელოვანია მოსახლეობისთვის, მადლობა რომ ეს პროექტი მიიღეთ* – განაცხადა დაბა ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბესო ქათამაძემ**.

გასწორება

გაზეთ „ალიონის“ №18-ში მეოთხე გვერდზე დაიბეჭდა ლანჩხუთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლის მანანა სიხარულიძის წერილი სათაურით „ილიკო გუჯაბიძე –ამაგდარი ლოტბარი“.

სურათების წარწერებზე დაშვებულია უხეში შეცდომები. უნდა ეწეროს: ილიკო გუჯაბიძე ოჯახთან ერთად; ილიკო გუჯაბიძე მეუღლესთან ერთად.

მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი ახალი ჰესის ასაშენებლად გზა გაჰყავთ

ალიონი. მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესი უნდა აშენდეს“ – ამ სათაურით გაზეთ „ალიონის“ 27 ივნისის ნომერში (№15) დაიბეჭდა სტატია, რომელიც კომპანია „პარვუს ჯგუფის“ მიერ მდინარე ბჟუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის „ბასრა 1“, „ბასრა 2“ და „ბასრა 3“ მშენებლობას შეეხებოდა.

5 ივნისს, ჟურნალისტების ჯგუფი სოფელ გომში კომპანია „პარვუს ჯგუფის“ და სოფელ გომის მოსახლეობის წარმომადგენლობასთან შეხვედრას დაესწრო.

ჩვენ კითხვაზე, ჰესების მშენებლობის შესახებ რატომ იყო მოსახლეობა ინფორმაციულ ვაკუუმში, კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელმა **ზურაბ ბესელიამ** გვიპასუხა, რომ აღნიშნული მშენებლობის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ როგორც სამხარეო ადმინისტრაციის, ისე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და მათ სოციალური პროექტის შესახებ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასთან ხელშეკრულება (25.02.2023 წ.) ჰქონდათ გაფორმებული, რომლის მიხედვით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს სამი წლის განმავლობაში 0,5 მილიონ ლარს ჩაურიცხავენ.ამასთანავე განაცხადეს, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან აქვთ ნებართვები, რის საფუძველზე სამუშაოები დაიწყეს. **რადგან მცირე სიმძლავრის ჰესებად არის დაყოფილი, არც გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ბიომრავალფეროვნების კვლება არ აქვთ ჩატარებული.**

ბჟუჟჰესის ზედა წელში ზ/დონიდან 1000 მ-1610 მ-ს შორის 3 ჰესი უნდა აშენდეს. წყალი ჰესებს 1000მმ-იანი მილით მიეწოდება და მდინარის დებეტის 90 პროცენტი საერთო სიგრძის 7 კილომეტრის სიგრძის დერივაციულ მილში მოექცევა. გაიჩეხება 130 კუბური მეტრი ტყე ...

შეხვედრაზე გარემოსდაცვითმა მენეჯერმა **თიკო ჟიჟილაშვილმა** განაცხადა, რომ მათ არ აქვთ ვალდებულება გზშ წარმოადგინონ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ჰესები 8-ბალიანი მიწისძვრის ზონაში უნდა აშენდეს.

სატელეფონო საუბარში „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელმა **ზურაბ ბესელიამ** განაცხადა, რომ **მიუხედავად იმისა, რომ არსებული კანონმდებლობა მათ გზშ-ს წარდგენას არ ავალდებულებს, ისინი გარკვეულ კვლევებს ჩაატარებდნენ გეოლოგიურ, ბიომრავალფეროვნების, კლიმატის ცვლილებების, თევზის შეუფერხებელი გადაადგილების და სხვა საკითხებზე, რასაც სოფელ შემოქმედიის მოსახლეობას, გარემოსდაცვით არასამთავრობო ორგანიზაციებს და მედიას გააცნობოდნენ.**

ზურაბ ბესელიამ ჯერ-ჯერობით პირობა არ შეასრულა. „პარვუს ჯგუფს“ არც კვლევები ჩაუტარებია და არც მოსახლეობას შეხვედრია. პირიქით, **მდინარე ბჟუჟის ხეობაში ე.წ. „ჯეშტერის საცივიდან“ მარჯვნივ ბჟუჯის ხეობაში უკვე სამ კილომეტრამდე გზა გაიყვანეს და მძლავრი ტექნიკა სწრაფი ტემპით მიიწევს წინ.**

გარემოსმცველმა ორგანიზაცია „ეკომ“ და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლება ამ დღეებში კვლავ მოვინახულეთ მშენებლობა, სადაც გზები უკვე სხვადასხვა უბნებში გაჰყავთ. „ეკომ“ ჯერ-ჯერობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისაგან ვერ მიიღო საჯარო ინფორმაცია „პარვუს ჯგუფთან“ დადებული მემორანდუმის შესახებ.

31 აგვისტოს, გაზეთ „ალიონს“ კურორტ გომისმთაზე ყოფნისას მოაწოდეს ინფორმაცია, რომ „ПАРВУС ჯგუფმა“ КУРОРТის შესასვლელში, ნაფოხვარას უბნიდან ტყის გავლით შეიყვანა ტექნიკა ბჟუჟის ხეობაში.

–ოზურგეთის მუნიციპალიტეტს წიწვოვანი ტყე მხოლოდ გამისმთის მიმდებარედ გააჩნია. ფაქტიურად ტყეში გზა გაჭრეს. ეს ჰესები ამ უნიკალურ ტყეს პრობლემებს შეუქმნის –გვითხრეს კურორტ გომისმთაზე.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია შეეკითხა საქართველოს სახელმწიფო ელექტროქსელების სოციალური სამსახურის უფროსის მოადგილე **სამსონ სიამაშვილს,** რაიმე კავშირის ხომ არ აქვს მდინარე ბჟუჟის ხეობაში მიმდინარე სამუშაოებს ლიხაური-ზოტის ორჯაჭვა 110-კილოვატიან ხაზის მშენებლობასთან.

–ჩვენ დავუკავშირდით „მითამ ენერჯი ენდ მეტალ ქორფოროიშენის“ წარმომადგენელს, რომელმაც გვითხრა, რომ მდინარე ბჟუჟის ხეობაში გზის გაყვანის სამუშაოები არ უკავშირდება ლიხაური-ზოტის მაღალი ძაბვის ხაზების გაყვანის სამუშაოებს – გვითხრა სამსონ სიამაშვილმა.

გამოცემის ვებ.გვერდზე მასალის გამოქვეყნების შემდეგ ზურაბ ბესელია კომენტარისთვის გაზეთ „ალიონის“

კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელებს საკრებულო მოუსმენს

ალიონი. 31 აგვისტოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დეპუტატმა ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან **გიორგი შილაკაძემ** კომპანია „პარვუს ჯგუფის“ მიერ, მდინარე ბჯუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის მშენებლობის შესახებ დასვა კითხვა:

–ადგილობრივი მედიასაშუალებები წერენ, რომ კომპანია „პარვუს ჯგუფი“მდინარე ბჯუჟის ხეობაში სამი მცირე ჰესის აგებას აპირებს, ისე, რომ საზოგადოებამ ამის შესახებ არაფერი არ იცის. რაღაც შეხვედრა კი ჩაუტარებიათ სოფელ გომში, მაგრამ მე შემოქმედელი კაცი ვარ და ამის შესახებ არ გამიგია. მე მშენებლობის წინააღმდეგი არ ვარ, მაგრამ გვაინტერესებს, ვინ არიან ისინი, რა ლოკაციაზე აპირებენ ჰესის აშენებას. მათ უკვე ტყეში გზა გაჰყავთ – გვეუბნებით, არ მონაწილეობთ კომისიების სხდომებში ა, ბატონო, ვაყენებ წინადადებას და გაგვაგებინეთ რა ხდება – მიმართა საკრებულოს გიორგი შილაკაძემ.

– ჩვენ ამ ჰესების მშენებლობაზე ამჟამად ინფორმაცია არ გვაქვს. ეს თემა განხილვის საგანი გახდება და თქვენ შესაბამის ინფორმაციას მიიღებთ. კარგი იქნება თუკი თქვენი კოლეგები თქვენსავით დაიცავენ საკრებულოს რეგლამენტს – უპასუხა ოპოზიციონერ დეპუტატს საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ.**

– ეტაპობრივად ყველა ინფორმაციას გაიგებთ. თუკი ხალხის ნება და თანხმობა არ იქნება არანაირი ჰესი არ აშენდება –განაცხადა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ნათია გოლიაძემ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, **ლავრენტი ბიგვავას** აზრით, **მათ შუძლიათ კომპანია „პარვუს ჯგუფის“ ხელმძღვანელები საკრებულოს სხდომაზე, ან შესაბამის დარგობლივი კომისიის სხდომაზე მიიწვიონ, კითხვები დაუსვან და მათ დეპუტატებს უნდა გასცენ პასუხი.**

„პარვუს ჯგუფის ხელმძღვანელი **ზურაბ ბესელია** მედიასთან აცხადებს, რომ *„თუ იქნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან დაინტერესება და დამიკავშირდებიან, მზად ვართ ინფორმაცია მივაწოდოთ. საქმის კურსში არიან გურიის სახელმწიფო რწმუნებული გიორგი ურუშაძე და ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე. ორივე უწყებას მთელ ინფორმაციას ვაწვდით პროექტის მსვლელობის თაობაზე და ეს ხდება პერიოდულად“.*

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა წუთიერი დუმილით დაიწყო

„მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში წერეთლის ქუჩაზე მდებარე 2503 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;“

„მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;" „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადა-ცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;“

„ქ. ოზურგეთში, ა. ნაკაშიძის ქუჩასა და დაბა ურეკში ე. თაყაიშვილის ქუჩაზე საგზაო ნიშნების განთავსების ორგანიზების თაობაზე;"

„მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ;“

ასევე, „საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის 2023-2025 წლების სტრატეგიისა და 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე: ქ. ოზურგეთში, სანაპიროს ქუჩისათვის სახელის გადარქმევისა და „ანზორ ერქომაიშვილის სახელობის სანაპიროს ქუჩის“ სახელის მისანიჭებლად – გარდაცვალების ვადის შეზღუდვიდან გამომდინარე გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე;

ცვლილება შევიდა შემდეგ განკარგულებებში: დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩებისთვის „მეგობრობის“ და „გაბრიელ ეპისკოპოსის“ სახელების მინიჭების შესახებ.

აგრეთვე, ცვლილება განხორციელდა „საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ დადგენილების პროექტში.

საკრებულომ მოისმინა, დადებითად შეაფასა და ცნობად მიიღო ინფორმაცია 2022 წლის და 2023 წლის 6 თვის მდგომარეობით კულტურისა და სპორტის განვითარების პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების შედეგების შესახებ და მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის II კვარტლის შესრულების ანგარიში

ჩოხატაურში ადგილობრივებსა და ნაცმოძრაობის წარმომადგენლებს შორის ინცინდენტი მოხდა

ალიონი. 3 სექტემბერს, დაბა ჩოხატაურში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ოზურგეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით მჟავანაძესა და სხვა პარტაქტივს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

დავით მჟავანაძე ადგილობრივ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მას ექსპერტიზა ჩაუტარდა.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩოხატაურში მომხდარ დაპირისპირებასთან დაკავშირებით გამოძიება ჯგუფურად ჩადენილ ძალადობის მუხლით დაიწყო.

დაპირისპირება ჩოხატაურის ცენტრში იმ დროს მოხდა, როდესაც „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მოსახლეობას საინფორმაციო ბროშურებს ურიგებდნენ და სკვერის გასხვისებას აპროტესტებდნენ. მათი ინფორმაციით, პარტიის წევრებს, „ქართული ოცნების“ მიერ დაორგანიზებული ჯგუფი დაესხა თავს. ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი.

დავით შარაშიძე აცხადებს, რომ ადგილი ჰქონდა პროვოკაციას, ნაციონალური მოძრაობის მხრიდან. მისი თქმით, ქალაქის ცენტრში „ქართულ ოცნებას“ არავინ მიუყვანია.

გზა, რომელიც განსაკუთრებულად რთულ გეოგრაფიულ და კლიმატურ ზონაში შენდება

განსაკუთრებულად რისკის შემცველია უნებართვოდ გადადგილებული ტრანსპორტისა და მოქალაქეებისათვის.

კომპანიას არ გააჩნია პრობლემები საჭირო ტექნიკის, პროფესიონალი კადრების და მუშახელის მხრივ, მაგრამ ჩვენი მაქსიმალური ძალისხმევის მიუხედავად, პრაქტიკულად მშენებლობის ორი წლის მანძილზე, ყველაზე რთულ, მე-19 32-ე კილომეტრზე წლის 12 თვიდან ყოველი წლის 15 ივნისიდან ოქტომბრის ბოლომდე გვეძლევა საშუალება ვაწარმოოთ საშენებლო სამუშაოები, რომელშიც შედის საკურორტო 1,5 თვეც.

— რა პრობლემები შეიქმნა მშენებლობის პერიოდში?.

—მშენებლობის პერიოდში პროექტმა მოითხოვა სერიოზული ცვლილებების გატარება, — დამატებითი გაბიონების და საყრდენი კედლების მოწყობა, წყალგამტარი მილების დამატება-ცვა-ლებადობა.; საპროექტო გზის ღერძების გდაადგილება, უვარგისი გრუნტის შეცვლა და რიგი სხვა აუცილებლად საჭირო ღონისძიებები. ამას კი დასჭირდა ძალიან დიდი ძალისხმევა და დახმარება, როგორც ინფრასტრუქტურის სამინისტროს, საავტომობილო გზის დეპარტამენტის, ასევე მხარის ხელმძღვანელობისა და მშენებელი ორგანიზაციის მხრიდან.

— როდის გეგმავთ ობიექტის ჩაბარებას?

—ვგეგმავთ მშენებლობის პირველი ეტაპი, გარდა ასფალტის საფარისა და დამცავი კონსტრუქციების მოწყობისა (ამინდებზე ვართ დამოკიდებული) წელს დასრულდეს, ხოლო მომავალი წლის ივლის-აგვისტოს დაწყებამდე ჩაბარდეს ობიექტი. ამისათვის აუცილებელია დარჩენილ დროში მაქსიმალურად იმუშაოს დაწესებულმა გადაადგილების გრაფიკმა და აღიკვეთოს თვითნებურად, ან შუამდგომლობით გადაადგილება. ეს შეზღუდვები აუცილებელია როგორც მშენებლობის გასაგრძელებლად, ისე თითოეული მოქალაქის სიცოცხლის დასაცავად.

—მეზობელი რეგიონის ერთ-ერთი მედიასაშუალება წერდა მგზავრების გატარების პრობლემებზე..

—არასწორია, თითქოს მგზავრებს არ ვატარებთ გრაფიკის მიხედვით . პირიქით, თუკი წინა წლებში მგზავრებს მხოლოდ შაბათ -კვირას ჰქონდათ მგზავრობის ნებართვა, ახლა ყოველდღიურად დილის 05 საათიდან 09 საათამდე შეუძლიათ გადაადგილება. (სასწრაფო დახმარების და 112-ის სამსახურს დაუბრკოლებრივ ვატარებთ).

ძალიან საშიშია ნებისმიერი ტრანსპორტის და მოქალაქის გადაადგილება საღამოს 20 საათიდან დილის 05 საათამდე.

ვისურვებდით, მოსახლეობა გაგებით მოეკიდოს და დაიცვას საჭირო ადგილებში განთავსებული საინფორმაციო ბანერების მოთხოვნები.

„თუ ადგილზე არ გაქვს ნანახი, ვერ გადმოსცემ შოვის ტრაგედიას“

ალიონი. 3 აგვისტოს მდინარე ბუბისწყლის ხეობაში წამოსულმა ძლიერმა მეწყერმა დააზიანა სასტუმრო „სანსეტ შოვი“ და ფაქტურად შოვის ტერიტორია მიწის მასამ მოიცვა. ღ სტიქიის ქვეშ აღმოჩნდნენ ათეულობით ადამიანი, მათ შორის ქალები და ბავშვები.

სამშველო სამუშაოები ერთ თვე მიმდინარეობდა. ერთ-ერთი ორგანიზაცია, რომელმაც შოვში მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩაატარა, კომპანია **NEW ROAD**, რომლის ათეულობით ტრაქტორი მუშაობდა.

აღნიშნული კომპანიის ექსკავატორის მემანქანეს, ჩოხატაურელ **რამაზ ბაიაჯანს** კურორტ გომისმთაზე შევვხდით და შოვში მიმდინარე სამაშველო სამუშაოებზე ვესაუბრეთ:

—შოვში სამაშველო სამუშაოებში მონაწილეობის მისაღებად 4-ში ჩავედი და 26 დღე -ღამე ვმონაწილეობდი სამაშველო სამუშაოებში.

ჩვენთან იყო კომპანიის გენერალური დირექტორი დავით ჟღენტი. რა უნდა მოვყვე, თუ ადგილზე არ ნახე რა ხდებოდა იქ, ისე ვერ გადმოსცემ ამ ტრაგედიას.

პირველ რიგში დროებითი ხიდი მოეწყო. 150 მძიმე ტექნიკა მუშაობდა მდინარე ბუბისწყალის, ჭანჭახის და შემდეგ რიონის ხეობებში, აქედან 35-მდე ტრაქტორი და ექსკავატორი ჩვენს კომპანიის იყო.3-4-ჯერ მოგვიწია ხეობაში მეწყერით ჩამოტანილი მიწის მასის ამოღება და გაცხრილვა. კომშით რომ ამოვიღებდით, იქვე მაშველები იყვნენ და აკვირდებოდნენ ხომ არ იყო მიწის მასაში ადამიანის ფრაგმენტი. სათანადოდ გაწვრთნილი ძაღლებიც გვეხმარებოდნენ.

ვერ გადმოვცემ, რა მდგომარეობაში ვიყავით ადამიანის გვამს რომ იპოვიდნენ. ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ფაქტორი იყო. . ტრაქტორები ხშირად ეგლობოდნენ ღრმა მეწყერულ მასაში, რომლის სიმაღლე ზოგ ადგილებში 7-8 მეტრს აღწევდა. ახლა გომისმთის გზის მშენებლობაზე გავაგრძელებ მუშაობას. გაგებით უნდა მოეკიდონ კურორტის სტუმრები დაწესებულ აკრძალვებს. ჩვენ გვინდა ისეთი გზა ავაშენოთ, რომელიც უსაფრთხო იქნება თითოეული მოქალაქისათვის —გვითხრა რამაზ ბაიაჯანმა.

გომისმთაზე სეზონზე კვლავ წყლის პრობლემა დგას

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაკვეთით 2016 წელს დაიწყო გომისმთის წყალმომარაგების სისტემის მშენებლობა. სამშენებლო სამუშაოებს შპს „ნდს მშენებლობა“ (დირექტორი ზურაბ გუგეშაშვილი) აწარმოებდა. ეს უნიკალური პროექტი ზღვის დონიდან 2200-2500 მეტრს სიმაღლეზე განხორციელდა. პროექტის ჯამური ღირებულება 840 000 ლარს შეადგენა., საიდანაც „ნდს მშენებლობამ“ 550 000 ლარის სამუშაოები შეასრულა.

აიგო 300 კუბური მეტრი მოცულობის წყალ მიმღები რეზერვუარი.აქვე აშენდა საქლორეტარო, რომელიც კურორტის დასვენებლების გაფილტრული სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს. ობიექტი შემოიღობა.

პროექტის მიხედვით, წყალსადენის სათავე, კურორტიდან 7,3 კილომეტრის დაშორებით „ჭინჭაოს“ ტბის მიდამოებში მოეწყო აიგო სპეციალური წყალშემკრები №1, №2 ნაგებობა. აღნიშნული ნაგებობებიდან 89- მმ-იანი მეტალის მილებით წყალს წყალშემკრები რეზერვუარი იღებს.

მართლაც კარგი პროექტი გაკეთდა, მაგრამ შეყოვნდა დაქსელვის სამუშაოები, შემდეგ გომისმთაზე უკანონო მშენებლობის ბუმი გაჩაღდა და ასეულობით სახლი დაიდგა.

დღეის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ათეულობით საგარაკო სახლის საძირკველია აღებული, შეჩერებულია არაერთი მშენებლობა.

მშენებლობის ბუმმა კურორტზე დამსვენებელთა რაოდენობა გაზარდა და 7 წლის წინ აგებული 300 კუბური მეტრის რეზერვუარი სეზონზე ვერ უზრუნველყოფს დამსვენებელთა მოთხოვნებს. სამწუხაროდ, უყურადღებობის გამო წყალსადენის ეზოს გარშემო მოხსნილია მავთულბადე და საქლორატოროს შენობაც დაზიანებულია.

გაზეთი „ალიონი“ დაბა გომისმთის მცხოვრებს **მერაბ სანიკიძეს** ესაუბრა:

— წყალსადენს არაფერი სჭირს, მოსახლეობა გასამმაგდა. წყლის რაოდენობა აღარ ყოფნის აგვისტოში. ღობე იყო ლითონის ბადე, რაც ჯერ თოვლმა დააზიანა, მერე კი საქონელმა. ადამიანებმაც არ დააკლეს ხელი. იმათ, ვისაც აქ სახლები უდგათ ერთობლივი ძალებით ორი წყაროდან გამოიყვანეს დამატებითი ქსელი.

როცა გომისმთის განაშენიანების გეგმა დასრულდება, მერე დაბას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის რწმუნებული ეყოლება. ახლა ხელისუფლებას პოლიცია და ზედამხედველობის სამსახურის მუშაკები წარმოადგენენ — გვითხრა მან.

ბახვი ჰესის სოციალური პროექტი: შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების დახმარება

ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის ბენეფიციარები მთისპირის თემის სოფლებსა (უკანავა, მთისპირი, ვანისქედი, ოქროსქედი) და ჩხაკაურაში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები არიან. იქიდან გამომდინარე, რომ კომპანიის სოციალური პროგრამის სარგებელი სამართლიანობის პრინციპის სრული დაცვით ყოფილიყო გადანაწილებული, კომპანიამ კეთილი ნების საფუძველზე, სოციალური პროექტების ნუსხაში შშმ პირების დახმარება გაითვალისწინა.

სოციალური პროგრამა 2022 წლის აპრილის თვიდან ამოქმედდა. პროექტის თანახმად, 36 ბენეფიციარი იღებს ბახვი ჰესის ყოველთვიურ ფულად დახმარებას. დახმარება ორ კატეგორიაზე ნაწილდება: მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის და მნიშვნელოვნად გამოხატული სტატუსების მქონე შშმ პირები. პირველ კატეგორიის მქონე პირთა ყოველთვიური დახმარება 150 ლარით არის განსაზღვრული, მეორე კატეგორიის დახმარების ოდენობა კი, ყოველთვიურად 100 ლარია. პროგრამა 2024 წლის ბოლომდე იმოქმედებს.

დაფინანსებული ფართი

კიდევ ორი მესტამბე-გამომცემელი და ჭოლა ლომთათიძის ორტომეული



„არა, ჩემთვის, გასართობად მხოლოდ როდი ვსწერ ამ სტრიქონებს. არც იმათთვის, ვინც მე მიყვარს — სრულიადაც არა. მე ხომ ბევრი მიყვარს, მე ხომ ყველა ადამიანი მიყვარს!

ამ სტრიქონებს მე ვსწერ იმათთვის, ვისაც მე ვუყვარვარ...

მოხვდებათ თუ არა ხელში იმათ ეს ფურცლები?

ვუყვარვარ თუ არა ვისმე მე? ეს სტრიქონები პოემა როდია, მხატვრული ნაწარმოები როდია, ეს სტრიქონები უბრალო წერილებია გამწარებული ადამიანისა, რომელიც ვერ მოთავსებულა სატუსაღოს ოთხ კედლებში, რომელიც ვერ შესჩვევია ტყვეობას, რომელიც მთელი მისი არსებით ილტვის იმათკენ, ვისაც ის უყვარს... ეს სტრიქონები მხატვრული ნაწარმოები როდია, ეს ნაწერია აჩქარებული ხელით, ჩხრეკისა და სხვა ასეთების მოლოდინში, რომ უცებ შესაძლებელი იყოს მათი მოსპობა — იმიტომ რომ მე არ მსურს წაიკითხოს ეს იმან, ვისაც არ ვუყვარვარ... თან არ ვიცი კი ვის გავუგზავნო ეს რვეული, რვეული, ნაწერი თეთრ ღამეებში, მწვავე წუთებში, როცა განსაკუთრებით ვგრძნობდი ხოლმე ტყვეობასა და დამცირებას...

თეთრი ღამე! რამდენი წელია ვიმყოფები თეთრ ღამეში. და არა ჩვეულებრივი მზე, არა ჩვეულებრივი მთვარე მინათებს მე სიბნელეს, არამედ ერთი გაუთავებელი,

უკიდო და უძრავი თეთრი ღამე. ჩემი მზე მკვდრის მზეა.

იცით თქვენ რას ჰქვია მკვდრის მზე? როცა მზე დინჯად და ლაღად ჩაწვება ხოლმე შავს ზღვაში, ააშფოთ აადუღებს იმის ზვირთებს და ოქროსფრად შეღებილ ნაშხეფებს ზეცას შესტყორცნის, მაშინ მზის ალმაცერი სხივები ეცემიან აჭარა-გურიის მთების მწვერვალებს, ფერმკრთალი და მიბნედილი სხივები. ამ სხივებს ეძახიან გურიაში მკვდრის მზეს. აი, რა არის მკვდრის მზე!

თეთრი ღამე კი ამაზე უარესი რამეა!

თეთრი ღამე!“

„სამზარეულოში, სადაც გაზეთ „ალიონისთვის“ ამ წერილს ვწერ, სულ ახლახან ჩემი ნაბოლარა შემოვიდა.

მომესალმა, მეც მივესალმე და ვუთხარი, თუ არ გამაჩერებს ჭოლა ლომთათიძის „უბის-წიგნაკს“ სულ მთლად აქ გადმოვიტან.

კარგა ხანს გაკვირვებით მიყურა, მერე გვერდით მომოჯდა და ერთად გავაგრძელეთ კითხვა. ვიმედოვნებთ, თქვენც შემოგვიერთდებით... სულ მალე ოზურგეთს იაკობ შემოქმედელისა და ჭოლა ლომთათიძის ქუჩების გადაკვეთაზე „ტერასული ბაღი“ ექნება. დიდი მადლობა ყველა ოზურგეთელს, ვინც არ დაიზარა და ხმა მისცა „ოზურგეთში ლომთათიძის ქუჩაზე ახალი რეკრეაციული სივრცე „ტერასული ბაღების“ მოეწყობას. მადლობა, ძველი და ახალი საკრებულოს, მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლებს, განსაკუთრებული მადლობა პოლონეთის სოლიდარობის ფონდის საქართველოს წარმომადგებლობას და ამ პროექტის განხორციელების ყველა ნაცნობ თუ უცნობ მონაწილეს.

მართლაც უდიდესი საქმეა და მჯერა ახალ რეკრიაციულ ადგილს ჭოლა ლომთათიძის სახელიც მიენიჭება და ბიუსტისთვისაც გამოიძებნება სათანადო ადგილი.

ურიგო არ უნდა იყოს ოზურგეთში ლომთათიძის ქუჩაზე ახალი რეკრეაციული სივრცე „ტერასული ბაღების“ მოეწყობის ამგვარი დაგვირვინება...

ახლა კი, მეტი აღარ გადავდოთ და სილიბისტრო თავართქილაძის წერილი გავახსენოთ/გავაცნოთ მკითხველს.

რითი დავაგვირგვინოთ ქართული სტამბის 300 წლისთავის?"

(ქართველი ერის საყურადღებოთ).

XIX და XX საუკუნეთა გამოგონებებს (მეცნიერებასა და ტეხნიკაში) მთელი კაცობრიობა განცვიფრებაში მოჰყავს, მაგრამ ვერც ერთი გამოგონება ვერ შეედრება ჰუტენბერგის მიერ 450 წ. წინად გამოგონილ ბეჭდვითი საქმეს. (შემდეგ ეს გამოგონება 2000... გაუმჯობესდა).

ერთი ჰენიოსი ამბობს: „ერის სიმდიდრე, მისი ავლა-დიდება ლიტერატურაა“. მართლაც, რა სიმდიდრე შეედრება ლიტერატურას? მასთან შედარებით ყოველივე

არარაა!

აბა მითხარით, რა იქნებოდა ბეჭდვითი სიტყვის გარეშე ადამიანის ცხოვრება? რით შეიძლებოდა ასე სწრაფად განვითარებულიყო და გავრცელებულიყო უწიგნოდ, უგაზეთოდ, უსკოლოდ: სწავლა, ცოდნა, განათლებას ამდენი ახალ-ახალი გამოგონება შედეგია მხოლოდ ბეჭდვითი საქმის განვითარებისა.

ჰუტენბერგის გამოგონებამ ქართულ ენაზე, 150 წ. შემდეგ. პირველად რომში იწყო მუშაობა 1625 წ. და წელს, 1925 წ., შესრულდა სამასი წელიწადი.

იუბილე ჩვენში ხშირია: მოარულივით მოედო, არა თუ მარტო ჩვენს დედაქალაქს, არამედ დაბა-სოფლებშიაც იგი ყოველდღიურ მოვლენად გარდაიქცა...

მაგრამ მე ვფიქრობ ასეთი იუბილე ქართველ ერს საუკუნოებში არ შეხვდება, მისი სხვასთან შედარება შეუძლებელია, გადადება ან დავიწყება ყოვლად მიუტევებელი.

დღეს გამოღვიძებული ქართველი მშრომელი ხალხი ვალდებულია ეს 300 წ. თავი დიდი ზეიმით იდღესასწაულოს და რაიმე საშვილისშვილო საქმის შექმნით აღნიშნოს.

საქართველო, რაც იგი რომანოვების იმპერიას „დაუძმობილდა“, 117 წ. განმავლობაში მოკლებული იყო საკუთარ თავოსნობას როგორც პოლიტიკაში, ისე ეკონომიკაში...

ცენტრი წინააღმდეგი იყო ჩვე--ნში ყოველგვარ თვითმოქმედების, საკუთარ მრეწველობის, რიგიან და სასარგებლო მაღალ თუ საშუალო სპეციალურ ცოდნის შესაძენი სასწავლებლის დაარსებისაც კი, რადგან ადგილობრივი სასწავლებლები, ადგილობრივი ქარხნები და სამრეწველოები ქართველთათვის ხელმისაწდომი, ადვილათ ცოდნის შემძენი, თვალის ამხელი და შემაკავშირებელიც იქნებოდა... ეს კი ცენტრს, იმპერატორს, ჩვენი გარუსების, გადასახლების, დაქასვისა და სამაგიეროდ რუსების ჩამოსახლების პოლიტიკას დამღუპველად მიაჩნდა...

აი, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ამ ბუნებით მდიდარსა და შემკულს ქვეყანაში, ამ „მთელი იმპერიის ფირუზ-მარგალიტში“ (ნიკოლოზ II-ს სიტყვებია), რომანოვების მეფობის დამხობამდე არ იყო მთელს კავკასიაში, ამ სამ ისტორიულ, კულტურულ ერების, სამი რესპუბლიკის ტერიტორიაზე, არც ერთი უნივერსიტეტი, არც ერთი საშუალო სამეურნეო, ტეხნიკური და სპეციალური ცოდნის სასწავლებელი, არც ერთი საქსოვი, ან სხვა რაიმე ქარხანა და სამრეწეელო დაწესებულება, სადაც 40 მუშის ადგილი მაინც ყოფილიყო. მოკლედ: მეფის მთავრობას არაფერი არ ემეტებოდა ჩვენთვის, განაპირა ქვეყნისთვის ინოროდ-ცებისათვის“.

მეფისა და მისი მთავრობის დამღუპველ პოლიტიკას, მთელი იმპერიის ტერიტორიაზედ, რაოდენიმე მილონი რჯულნი და სასიქადულო მამულიშვილნი შეეწირენ და როცა ამით სისხლის ზღვა კალაპოტს გადასცილდა, მეფე და მისი ტახტი უფსკრულში ჩაითრია და ჩაღუპა, მხოლოდ ამის შემდეგ შეიქნა შესაძლებელი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების დაარსება, ჰიდროელექტრონის სადგურების აგება, საქსოვი ქარხნების და სხვადასხვა სამრეწველოების ამუშავება და მოკლე დროში, მე ვფიქრობ, უფრო ჩქარის ნაბიჯით გამრავლდება მათი რიცხვი ჩვენს მხარეში.

მაგრამ... მაგარიც ისაა, რომ ქართველი ერი ამას ვერ მოუცდის, ქართველი მშრომელი ხალხის საარსებო მორიგ საკითხში გადაუდებელია ეს 300 პ. თავის სახელოვანად დღესასწაული და ამ დღესასწაულის საზეიმოთ საჭიროა მან შექნას ისეთი ხასიათის საქმე, რომ ამით მთელი ერი ამაყობდეს, მთელი მშრომელი ხალხი სარგებლობდეს; მართლა საზეიმო, საამაყო და იმავე დროს სასარგებლოც იყოს...

ასეთი საქმეა დღეს ჩვენთვის ქაღალდის ქარხანის დაარსება.

ქაღალდის ქარხანა ბეჭდვითი საქმეს ყველაზე მეტათ ესაჭიროება.

ქაღალდის ქარხანა საქართველოს ტერიტორიაზე 100- ჯერ უფრო სასარგებლო და ადვილი ასამუშავებელია, ვინემ სხვა ადგილებზე.

ქაღალდის ქარხნისათვის არსად არ არის ისეთი პირობები, როგორც საქართველოში; განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში.

ქაღალდის ქარხანა ისე დაშორებული დღეს თით ქმის არც ერთს მხარეს არ აქეს, როგორც ეს საზოგადოთ ამიერკავკასიის ერებს და სპარსეთს.

ამ 10 წ. წინათ კავკასიაში ქაღალდი ფილანდიიდან მოდიოდა; ზღვით, წყნარ ოკეანეზე უნდა შემოევლო დ ექვსი თვის შემდეგ მოსულიყო.

დღეს ზღვით გამოგზავნა შეუძლებელია და სამაგი ეროთ 4 - ჯერ მეტი ფასი უნდება მოტანას და ქაღალდიც 4- ჯერ მეტი ფასობს...

სულ სხვა იქნება, როცა ქაღალდის ქარხანა ჩვენში იქნება...

ქაღალდის ქარხნისათვის მასალები არსად იმოდენი არ იშოვება, რამდენიც საქართველოში დასავლეთ საქართველოში შეიძლება სამი-ოთხი ქარხნის ამუშავება. ვერც ერთი ქარხანა და ვერც შავი ქვა, მარტო ეკონომიური თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ, მაშინაც ვერ მოგვცემს იმას, რასაც ქაღალდის ქარხანა...

არც ერთს ქარხნის წარმოებას და ნაწარმოებს არ დასჭირდება ჩვენში იმდენი მუშა-ხელი, რამდენიც ქაღალდის ქარსანას და ნაწარმოებს.

ამისი დაწვრილებითი აღსნა და განმარტება ახლა, ამ წერილში შეუძლებელია, ამაზე მექნება ცალკე დაწვრილებით დასაბუთებული მოხსენება. მხოლოდ ამ ჟამად მოკლედ ვიტყვი, საჭიროა ამ დიდი დღესასწაულისათვის საზეიმოთ. ვემზადოთ: გავმართოთ ბეჭდვითი საქმის პირველი გამოფენა, დავაარსოთ ამ დღესასწაულის საზეიმოთ ქაღალდის ქარხანა და ამითი დავაგვირგვინოთ ის დიდი საქმე — გონ-ების ლამპარის წყარო — რომელსაც მწიგნობრობა ეწოდება.)

15 მარტი, 1925 წ. დედაქალაქი.“

**) ქაღალდის ქარხნებს და ქაღალდის მუშაობას მე საფუძვლიანათ გავეცანი 1895 წ, ამ დროს პეტროგრადში პირველი გამოფენა იყო ბეჭდვითი საქმისა. გამოფენაზე და ფინლანდიაში ქაღალდის ქარხნის ნახვამ გამიადვილეს ამისი საფუძვლიანათ დათვალიერება, გაკნობა და მისი ყოველივე საიდუმლოების შესწავლა...*

ისე დამაინტერესა •მ საქმემ, რომ გადავწყვიტე ქაღალდის ქარხნის დაარსება გურიაში 1900 წ. (ქარხანა უნდა გამეხსნა 1895-96 წ. დაარსებული გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „შუამავალის“ ფირმით) მაგრამ 1898 წ. მე „შუამავალი“-ს გამგის თანამდებობიდან გადამაყენეს (არა „შუამავალის“ წევრებმა) და ქაღალდის ქარხანაც დავიწყებას მიეცა დროებით... 1902 წ. ბათომის ჟანდარმერიამ წინადადება მომცა: „უკეთუ შენით არ წახვალ ქუთაისის ღუბერნიიდან და ბათომის ოლქიდან, მერმე ჩვენ თითონ გაგაგზავნით უფრო შორს, ცივს ადგილებშიო, — მე, ჩემდა უნებურათ გადმოვედი ტფილისში. 1910 წ. კიდევ გავმართე ერთს დიდ გამოცდილ და ქაღალდის ქარხნის მცოდნე კაცთან ლაპარაკი (ივანე გაიდამაკინი), დავათვალიერე ადგილები და მასაც გავაცანი ყოველივე. მან სამეგრელოში დადიანისგან იყიდა დიდი მოხერხებული მამული, ქაღალდის ქარხნისთვის, მაგრამ 1914 წ. ომის გამოცხადების შემდეგ ესეც დავიწყებას მიეცა. ახლა ეს მამული თავისუფალია, ივანე გაიდამაკინი ახლაც აქ არის და გამოსადეგია პრაქტიკული რჩევისათვის.

რით უნდა დავაგვირგვინოთ ქართული სტამბის 300 წ. თავი?

(ქართველი ერის საყურადღებოთ).

XIX და XX საუკუნეთა გამოგონებებს (მეცნიერებასა და ტეხნიკაში) მთელი კაცობრიობა განცვიფრებაში მოჰყავს, მაგრამ ვერც ერთი გამოგონება ვერ შეედრება ჰუტენბერგის მიერ 450 წ. წინად გამოგონილ ბეჭდვითი საქმეს. (შემდეგ ეს გამოგონება 2000 [illegible] გაუმჯობესდა).

ერთი ჰენიოსი ამბობს: „ერის სიმდიდრე, მისი ავლა-დიდება ლიტერატურაა“. მართლაც, რა სიმდიდრე შეედრება ლიტერატურას? მასთან შედარებით ყოველივე არარაა!

აბა მითხარით, რა იქნებოდა ბეჭდვითი სიტყვის გარეშე ადამიანის ცხოვრება?—რით შეიძლებოდა ასე

კ, თ.

ამასობაში, „მატიანეს“ კალენდრით „1894 მარტის ბოლოა“, „ოზურგეთში „კ. ოცხანელის“ ხელმოწერით გამოდის კონსტანტინე თავართქილაძის მიერ შედგენილი კრებული „სოინარი“, რომელშიც ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის ლექსები: „ელეგია“, „გუთნისდედა“ და „ქართვლის დედას“. .

მენდეთ, მეტად მნიშვნელოვანი კრებულია, არა მხოლოდ იმიტომ, მასში ილიას ლექსები, რომ არის განთავსებული, კრებულის მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტია და მასზე გურულ მკითხველს აუცილებლად მოვუყვები. მანამდე, ბარემ ისიც ვთქვათ, „მატიანეში“ ბატონ კონსტანტინეს კიდევ ერთხელ „ვხვდებით“.

სახელდობრ, 1900 14 მაისს, სწორედ ამ დღეს „გაზეთ „კვალში“ იბეჭდება გამომცემელ **კონსტანტინე თავართქილაძის** წერილი რედაქციის მიმართ, რომლითაც იგი ნოე ჟორდანიასა და „ახალ მოსულისგან“ ითხოვს ნებართვას, ცალკე წიგნად დაბეჭდოს მათი პოლემიკური წერილები. იქვე დართულ სარედაქციო შენიშვნაში ნოე ჟორდანია უფლებას აძლევს დაბეჭდოს წერილი „გზა და გზა“, მაგრამ წერილ „პრესასთან“ დაკავშირებით ამბობს, რომ ის სულ სხვა თემას ეხება“.

დარწმუნებული ვარ მეტად საინტერესო ორმხრივი წერილებია, თუმცა ილიასა და ნოე ჟორდანიას პოლემიკას არც აქ და არც სხვაგან მიზეზთა გამო მე არ განვიხილავ. ერთადერთი რაც შემიძლია ვთქვა, საქართველოს ისტორიას ორი „ნოე ჟორდიანია“ ჰყავს, დამოკიდებულ და დამოუკიდებელი საქართველოს, რაც შეეხება „ემიგრაციის ნოე ჟო-რდანიას“, თქმა არ უნდა ის დამოუკიდებელი საქართველოს კუთვნილებაა.

ამასთან, ბოლოს რაც ვთქვი, მხოლოდ ჩემი მოსაზრება როდია, სამწუხაროდ, არ მახსოვს პირველად რომელი ტელევიზიის ეთერიდან ვის მიერ გაჟღერდა, მაგრამ მე სრულად ვეთანხმები და ვფიქრობ არც პირველად მთქმელი ცდება და არც - მე.

გიო კილაძე

ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი „შავი ზღის დელფინი-2023“

ბათუმში დამთავრდა ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი „შავი ზღის დელფინი-2023“, რომელშიც 8,10,12 და 20 წლამდე ასაკის ასზე მეტი ახალგაზრდა იყო ჩართული.

ტურნირზე გურიიდან მხოლოდ ოთხი ოზურგეთელი იყო მოჭადრაკე იყო ჩართული, ტურნირის მთელ პერიოდს დაემთხვა 40 გრადუსს მიახლოებული სიცხეები და ბუნებრივია ამ პირობებში, ბავშვების ყოველდღიურმა დამღლელმა მგზავრობამ ბათუმში, თავისებური ასახვა ჰპოვა შედეგებზეც. მათ ძლიერი შემადგენლობის ტურნირში მაინც ღირსეულად გამოვიდნენ. აქ განსაკუთრებით გვინდა შევაქოთ 20 წლამდე ჭაბუკებისა და გოგონებში მოასპარეზე 16 წლის **ანა მეგრელაძე** (მწვრთნელი გიორგი .გოგოლაური), რომელმაც სიცხეც აიტანა და თამაშის მაღალი დონეც აჩვენა. მას ბოლო ტურში ყაიმის ნაცვლად რომ მოეგო ჩემპიონი ხდებოდა, თუმცა 7 ტურში დაგროვილმა 4,5 ქულამ მას მესამე ადგილი, საერთაშორისო რეიტინგი +131,2 (!)ერთეულით გაუზარდა და უკვე ქვეყნის მასშტაბით გავლენიან მოჭადრაკედ გვევლინება.

აშკარად იმსახურებს შექებას 10 წლიანებში მოასპარეზე ლიხაურელი **გიორგი სალუქვაძე** (მწვრთნელი ნინო წიტაიშვილი), რომელმაც 4,5 ქულა დააგროვა და 0,5 ქულით ვერ მიწვდა მედალს. მან სამი საკვირაო ტურნირი ზედიზედ მოიგო და დღეს მზარდი აღმავლობით, თანატოლებში მოჭადრაკე ავტორიტეტად იქცა.

ბათუმის ტურნირში თავისი თამაშით (კლასიკურ ჭადრაკში) უკმაყოფილებას ვერ მალავს **ნათია ვასაძე,** რომელმაც საშუალო შედეგით დაამთავრა ტურნირი, თუმცა უკმაყოფილების გარკვეული კომპენსაცია მაინც მოახერხა ბლიც ტურნირში. აქ საპრიზო ადგილს ერთი ქულა დააკლდა, თუმცა რეიტინგი +19,2-ით მაინც გაიუმჯობესა.

ბაქარ მახარაძის მიერ დაგროვილი 2,5 ქულა დიდ მიღწევად არ მიიჩნევა, მაგრამ, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ იგი პირველად მონაწილეობდა ესოდენ ძლიერი შემადგენლობის ტურნირში, ურიგო დასაწყისი ნამდვილად არაა.

სექტემბრიდან ადგილობრივ მოჭადრაკეებს მოუწევთ ძალების ერთმანეთთან მოსინჯვა მუნიციპალურ და რეგიონალურ ჩემპიონატებში.

ზურაბ ანდღულაძე,
გურიის ჭადრაკის ფედერაციის
თავმჯდომარე

ლანჩხუთელი მოჭადრაკეების წარმატება

ქ.ტყიბულში გაიმართა რესპუბლიკური მნიშვნელობის საჭადრაკო ფესტივალი „ტყიბული-2023“, რომელშიც ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან 125 -მდე მოჭადრაკა მონაწილეობდა. ფესტივალზე გურიაა ათი მოჭადრაკითა იყო წარმომადგენილი.

ცალკე ტურად ჩატარდა შეჯიბრება სწრაფ ჭადრაკში, რომელშიც პირველი ადგილი თანატოლებს შორის დაიკავა ლანჩხუთელმა **ანასტასია კვირკველიამ.**

საჭადრაკო ბლიც-ტურნირში , 14 წლამდე გოგონათა შორის, პირველი ადგილი დაიკავა ლანჩხუთელმა **ნინო გუნიამ** . (მწვრთნ. ტარიელ ხუხუნაიშვილი).

„მერცხალმა“ სენაკში „ეგრისი“ 6:0 დაამარცხა

საფეხბურთო კლუბმა „მერცხალი“ რეგიონული ლიგის მე-2 წრის მატჩები განაახლა. გასვლით შეხვედრაზე გუნდმა – სენაკის „ეგრისი“ ანგარიშით 6:0 დაამარცხა.

მე-2 წრის პირველი ტურის მატჩებსი სხვა ლიდერებმაც სტუმრად მოიგეს. აბაშის „ზანამ“- „მეშახტე 2“ დაამარცხა 1:2; ხოლო ქობულეთის „შუქურამ“ –„ჩიბათი“ 1:5.

13 ტურის შემდეგ **„ზანას“** 35 ქულა აქვს; **„მერცხალს“**–34; **„შუქურას“** –33.

სკანვორდი



პასუხები:

ნაოცნობი; ეროვნული – ეროვნული; ოთხფეხა ფარაჯი; ავიაჯალი-ადგილი ადგილი; ლეონარდი; ბალიშ – ბალიშ; ბალიშ – ბალიშ; ბალიშ – ბალიშ

გზები და ხიდები (XIX-XXს.ს.)



ქ. ბათუმის რუკა

1828 წლის 17 სექტემბერს ა. გრიბოედოვმა და დიმიტრი ზავილეისკიმ დასახეს სავაჭრო კომპანიების შექმნის და ბათუმამდე მოხერხებული კომერციული გზის გაყვანის გეგმა. ევროპულ ქვეყნებს, რუსეთს თუ თურქეთს ბათუმი სამხედრო სტრატეგიული თვალსაზრისთ აინტერესებდა, რომელზეც გადიოდა ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანესი გზები, კერძოდ: ბათუმი-ახალციხე, ბათუმი-ყარსი-ერევანი, ბათუმი-ართვინი-არტაანი, ბათუმი-თბილისი. ბათუმის მეშვეობით რუსეთი უზრუნველყოფდა სამხრეთ-დასავლეთი საზღვრების უშიშროებას, ხოლო კოდორის გზით ამყარებდა გავლენას აფხაზეთზე და კონტროლს აწესებდა შავ ზღვაზე.

XIX-XX საუკუნემდე აჭარაში არსებული გზები მოუწესრიგებელი იყო. ძირითადი ყურადღება ექცეოდა სამხედრო გზას,, კერძოდ ბათუმი-ახალციხის, არდაგანი-ყარსის და გურიასთან დამაკავშირებელ ბათუმი-ქობულეთის გზას. შერიფ ხიმშიაშვილის მმართველობის პერიოდში მოწესრიგდა ზემო აჭარასთან დამაკავშირებელი გზები. ნიკო მარი თურქეთის ლაზეთში მოგზაურობს მარადიდი-ჭოროხის სანაოსნო გზით. XIX საუკუნეში დაიწყო,მაგრამ ვერ განხორციელდა აჭარის ყარსთან დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობა.

გეოსტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე რუსული მმართველობის პერიოდში აჭარაში გზების მოწესრიგებას დიდი ყურადღება დაეთმო. XIX საუკუნიდან აჭარაში მოქმედებს გზათა მშენებლობის სამმართველო. სამხედრო-სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საზღვრისპირა გზების მოწესრიგებას. 18-90 წლის 28 მაისის ბათუმის სათათბიროს სხდომაზე განიხილეს ბათუმის გზების საკითხი.

ქალაქის მასშტაბით დასახლებულ ადგილად ჩათვალეს აზიზიეს მოედნის და ბერძნული მართმადიდებელი ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალაქის პორტთან მისასვლელ გზებს, კერძოდ მოწესრიგდა და ქალაქის გეგმას დაექვემდებარა შემდეგი ქუჩები: სანაპიროს, მიხაილოვის, სავაჭრო, ქუთაისის, ერისთავის, დონდუკოვ-კორსაკოვის, კათოლიკური, ბერძნული, ლორის მელიქოვის, სვიატოპოლსკ მირსკის, სმეკალოვის და მარინის პროსპექტი [*ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 102 ფურც. 9].* 1890 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით მოქალაქეებს ფიოდოროვს, დავიდოვს, კლიმოვსკის უფლება მისცეს დილიჟანსის საშუალებით ორმხრივი გზით კავშირი დაემყარებინათ მდინარე ჭოროხთან და ხოლოდნაია სლობოდასთან. ასევე მათ ბათუმში დაეთმოთ დილიჟანსის გასაჩერებელი ადგილი *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 91 ფურც. 10]*

1895 წლის 11 სექტემბერს,ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის წინადადების საფუძველზე გადაწყდა ბარცხანის ბათუმთან შემოერთების საკითხი და დადგინდა შემდეგი საზღვრები: მდინარე ბარცხანა, შავი ზღვის სანაპირო, მდინარე სკურკუბიეს და მიხაილოვის ციხესიმაგრის გამყოფი ხაზი. დადგენილმა საზღვრებმა შეცვალა ქალაქის გეგმა. სათათბიროს ზოგიერთი წევრი ბარცხანის ბათუმთან შემოერთების წინააღმდეგ გამოვიდა. სათათბიროს წევრმა **მჭედლოვმა**(იგივე მჭედლიშვილი) მოითხოვა საკითხის გადაწყვეტა წმინდა კომერციული თვალსაზრისით, რადგან ბარცხანაში იყო მუსაჯირების მიერ მიტოვებული მიწები და იგი უნდა გადასცემოდა ქალაქს. ქალაქის სათათბიროს ეს წინადადება ჩათვალა მიზანშეუწონლად. ამავე სხდომაზე გამოიყო ფულადი სახსრები პორტთან დამაკავშირებელი გზების გასაყვანად *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 230 ფურც. 1]*

1896 წლის 24 ივნისს სათათბიროს სხდომაზე **ლუკა ასათიანმა** წარმოადგინა კერძო პირების განცხადება ბათუმში საცხენო-სარკინიგზო გზის მოწყობის შესახებ *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 249 ფურც. 22]*

1896 წლის 10 ივნისს სათათბიროს სხდომაზე გადაწყდა პორტთან დამაკავშირებელი გზების,კერძოდ პეტერბურგის ქუჩის ნაწილის და ვოზნესენსკის ქუჩიდან მდინარე ანგისამდე მიმავალი გზის მოწესრიგების საკითხი [*ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 248 ფურც. 13]*

1897 წლის 20 იანვრის სათათბიროს სხდომაზე ლ.ლ. მჭედლოვმა (მჭედლიშვილი) უკმაყოფილება გამოთქვა ქალაქის გეგმის არ ქონის, გზაჯვარედინზე და ზღვის სანაპიროზე უმსგავსო საცხოვრებლების მშენებლობის გამო. მჭედლიშვილმა მოითხოვა ქალაქის გეგმის სასწრაფოდ დამტკიცება *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 263 ფურც. 9]*

1897 წლის 8 ნოემბერს, ქალაქის სათათბირომ დაადგინა ბათუმის საზღვრები ნავთობის ქუჩის, არტილერიის გზატკეცილის და ეგ. შახნაზაროვის უბანს შორის [*ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 280 ფურც. 1]*

მანთაშევის ქარხნის გზის უზრუნველყოფის მიზნით, ბიზნესმენის სანდო პირმა **დ.ქ. სარაზოვმა** ქალაქის სათათბიროს მოსთხოვა თბილისის ქუჩის და სასოფლაოს გზის გასწვრივ რკინიგზის ხაზის გაყვანა [*ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 76 ფურც. 12]*

1888 წლის 8 ივლისს ამიერკავკასის რკინიგზის სამმართველოს კომისიის დასკვნის საფუძველზე პეტერბურგის და შპელევის ქუჩების გასწვრივ გამოიყო 4000 კვ. საჟენი მიწა. აჭარაში პირველი რკინიგზის ხაზის გასაყვანად **ხუსეინ ბეჟანიძემ** სახელმწიფოს გადასცა თავისი კუთვნილი მიწა. ამავე პერიოდში გადაწყდა სოფელ აგარაში გზის გაყვანა და სოფელ ზვარესა და ვაიოს დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა. ამიერკავკასიის რკინიგზის მშენებლობისთვის ქვის მასალა გაჰქონდათ ციხისძირის ქვის სამტეხლოდან. 1890 წლის 30 სექტემბერს კავკასიის ოლქის გზათა სამმართველომ ბათუმის პორტის ინჟინერ **ზუბოვს** თხოვნით მიმართა ციხისძირის გზის მშენებლობისთვის სამტეხლო კარიერიდან ქვის გამოზავნა [*ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 16 ფურც. 24]*

1894 წლიდან რუსები ექსპლოატაციას უწევდნენ ციხისძირის მწვერვალზე მოწყობილ ქვის სამტეხლოებს, თუმცა მოსახლეობას არწმუნებდნენ, რომ არ შეეხებოდნენ და არ დააზარალებდნენ ციხისძირის მწვერვალს. ქვის სამუშაოებს აწარმოებდა გენერალ ადიუტანტი **შერემეტიევი.** ციხისძირის გზა ქვის სამტეხლოებიდან მიემართებოდა სანაპირო ზოლის გასწვრივ და არ ეხებოდა მწვანე საფარის მქონე ნიადაგს. გზების მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი **ბუნგე** [*ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 16 ფურც. 74]*

ბათუმის სანაპირო ზოლი გადიოდა ქალაქის შუქურას და ზღვისპირა პარკის დასაწყისს შორის არსებულ სარელსო გზაზე. ზღვის სანაპიროდან გასქონდათ ხრეში და ქალაქს ყოველ კუბ ხრეშსა და სილაში უხდიდნენ 20 კაპიკს *[ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 15 ფურც. 89]*

1891 წლის 11 მაისს ბურუნ-თაბიეს დამბის მშენებლობისთვის მოიწვიეს ინჟინერი ბუნგე. ზღვის შტორმის დროს იტბორებოდა რკინიგზა და მის შესაჩერებლად აღმართეს ქვის კედელი *[ასს. ფ. ი-1, ან. 1, ს. 15 ფურც. 11]*

ქალაქის სათათბირომ ქუჩების მოწესრიგებისთვის გამოყო მიწა და თანხა, კერძოდ 1903 წელს კომაროვის, პეტერბურგის და არდაგანის ქუჩებისთვის 824 კვ. საჟენი მიწა - 2892 მანეთი, 1904 წელი ვოზნესენსკის, პეტერბურგის ქუჩები და მარინის პროსპექტი 1816 კვ. საჟენი მიწა - 192 მანეთი და 40 კაპიკი. 1903 წელი, ქარხნის ქუჩა- ბაქოს და რკინიგზის გადასასვლელს შორის 732 კვ. საჟენი მიწა, 988 მანეთი და 20 კაპ. 1903 წელს მიხეილის ქუჩა-მარინის პროსპექტსა და პეტერბურგის ქუჩებს შორის - 965 კვ. საჟ. მიწა, დასახარჯი 1302 მანეთი. 1903 წელი, ლორის მელიქოვის ქუჩის გადამკვეთი ფანტანის შესახვევი, პეტერბურგის ქუჩასა და მარინის პროსპექტს შორის 66,45 კვ. საჟ. მიწა. არტილერიის გზატკეცილიდან მანთაშევის ქარხანასთან 404, 68 კვ. საჟენი მიწა, დასახარჯი 461,მან. 82 კაპ *[ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 60 ფურც. 31]*

ქალაქ ბათუმის გეგმაში გზები აღნიშნული იყო ერთი ფერის საღებავით, ხოლო გადამკვეთი გზები სხვა ფერით. ასევე ქალაქის გეგმაში მოცემული იყო ქუჩების სიგრძე და სიგანე,ქუჩის მთლიანი მოცულობა, ქუჩებთან მისასვლელი გზები და ა.შ. [*ასს. ფ. ი-16, ან. 1, ს. 60 ფურც. 53]*

კავკასიის კალენდარში მოცემულია ბათუმთან დამაკავშირებელი გზების მარშრუტები, კერძოდ ბათუმი-ბორჩხა-არტანუჯი, არდაგანი-აჭარისწყალი, ბორჩხა-ახალციხე - ბათუმი- სოფელი ბენარა, ზარზმა, გოდერძი, დანისპარაული-ხულა, დანდალოჭვანა, ქედა, მახუნცეთი, აჭარისწყალი-ბათუმი. *[„კავასიის კალენდარი“ გვ. 77 (რუსულ ენაზე) თბ. 1887 წელი, რედაქტორი ე. კონდრატენკო]*

1917 წლის იანვრის სათათბიროს სხდომაზე განიხილეს ტრაპზონის რკინიგზის მშენებლობის საკითხი. სამხედრო გზა მიემართებოდა ართვინის გზატკეცილიდან პეტროგრადის,ვოზნესენსკის,მარინის, თბილისის, კათოლიკური, თათრის და ზღვის სანაპიროს ქუჩების მიმართულებით. გზის მშენლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი **ლაზარევი.** სამხედრო გზა უნდა ყოფილიყო ელექტროფიცირებული [*ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 651 ფურც. 11]*

1916 წლის 16 ნოემბერს ბათუმის სათათბირომ განიხილა ბათუმი-ყარსის გზის მშენებლობის პროექტი. ეს გზა გადიოდა სასარგებლო წიაღისეულის და ბუნებით მდიდარ ტყის რეგიონში, მას დიდი სატრანზიტო მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ეს იყო ბათუმი-თავრიზის დამაკავშირებ-ელი უმოკლესი გზა, რომლითაც საიმპორტო და საექსპორტო საქონელი ამიერკ-ავკასიის სამხრეთ დასავლეთი ნაწილიდან გადიოდა ჩრდილოეთ ირანში. ასევე ამ გზას უდიდესი სამხედრო სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა ჰქონდა სამთამადნო წარმოების განვითარებისთვის. ამ საქმეს თბილისში კურირებას უწევდა სამხედრო ინჟინერი დიმიტრი სვისშჩევსკი და პეტერბურგში ბათუმის სამხედრო-სამრეწველო კომიტეტის წევრი **იგ. ვოლფენზონი** *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 651 ფურც. 4]*

ზემოთ აღნიშნული გზები რუსეთსა და თურქეთს შორის არსებული დაპირისპირების გამო არ იქნა გაყვანილი. 1888 წლის 21 მაისს ბათუმის სათათბიროს სხდომამ განიხილა ბარცხანის ხიდიდან ბოინამდე და სანაგვემდე გზის მშენებლობის საკითხი *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 50 ფურც. 2]*


ქ. ბათუმის რკინიგზის სადგური

ამავე დროს ქალაქის სათათბირომ გზების სანანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიიღო დადგენილება. ქალაქში არსებული საგზაო მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები იბეჭდებოდა ადგილობრივ გაზეთში „ბათუმის ფურცელი“ („ბატუმსკი ლისტოკ“), ხოლო მისი აფიშირება წარმოდა ქალაქის უბნებში განლაგებულ დაფებზე. 1889 წლის 7 აგვისტოს ქალაქის სათათბირომ მიიღო დადგენილება რიხნერის, ტაიროვის და ნეიმანის უბანზე რკინიგზის გაყვანის შესახებ. სათათბირომ დააჯილდოვა მოქალაქეები ოვანეს და ამბარცუმ ასლანიანოვები, რომლებმაც ბერძნის ქუჩის გაფართოების მიზნით დათმეს საკუთარი სახლი. ნიშანდობლივია, რომ იმ ძველ დროში მოქალაქეები ქუჩების გაფართოების მიზნით საკუთარ სახლებს თმობდნენ, დღეს კი ქალაქის ქუჩები სახლებად და გარაჟებად არის გადაქცეული. ზემოთ აღნიშნულმა მოქალაქეებმა საკუთარი ხარჯებით წარადგინეს რკინიგზის გაყვანის პროექტი, რომელიც მიემართებოდა მათი ქარხნებისა და აგარაკებისკენ. დერვიშის ქუჩაზე მოეწყო გადასასვლელი რკინიგზა.

1889 წლის 23 ოქტომბერს ქალაქის სათათბირომ განიხილა თბილისის და არდაგანის ქუჩებს შორის სამხრეთი გზის გახსნის საკითხი. სამხრეთის გზის გეგმა მოიცავდა ტერიტორიას რკინიგზის მთავარი ხაზიდან არდაგანის ქუჩის გადაკვეთამდე *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 68 ფურც. 13]*

1889 11 დეკემბრის სათათბიროს სხდომაზე რუსეთის სადაზღვეო საზოგადოებამ მოითხოვა ბურუნ-ბაშის საწყობების გასწვრივ მეორე სარელსო გზის გაყვანა. სადაზღვეო საზოგადეობის აგენტმა **გვ. კორეტკოვმა** წარადგინა გასაყვანი რკინიგზის პროექტი 48 საჟ. მიწის მანძილზე. ეს გზა არ ავიწროებდა ბურუნ-თაბესთან მისასვლელ გზას. მეორე გზა გადადიოდა მთავარი გზიდან აღმოსავლეთით, რომელიც არენდირებული ჰქონდა ბურგარდტს. რიხნერისა და შიბაევის გზის შესახვევი უკავშირდებოდა ზღვასთან არსებულ საცურაო აუზს *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 15 ფურც. 15]*

1890 წლის 23 აპრილს, ქალაქის სათათბიროს სხდომაზე გადაწყდა ბათუმში რკინიგზის სადგურის მშენებლობა 4000 კვ. საჟ. მოცულობით, რომელიც უნდა განთავსებულიყო პეტერბურგის ქუჩაზე, სოფელ ჭაობთან ახლოს, შპელევის ქუჩის გასწვრივ. მიწის და მშენებლობის ხარჯის დასაფარავად ქალაქს საჩუქრად გადაეცა 6000 მანეთი *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 97, ფურც. 9]*

1888 წლის 23 ნოემბერს ქალაქის სათათბიროს სხდომაზე გადაწყდა სასაფლაოდან რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიამდე (700 კვ.საჟ. მიწა) ქალაქსა და ალექსეევის არხს შორის გზის რეკონსტრუქციის საკითხი. ამ გზაზე განლაგებული იყო ბევრი ქარხანა და სასაფლაოს გზის გავლაც შეუძლებელი იყო *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 13 ფურც. 7]*

1888 23 დეკემბერს რკინიგზა გაიყვანეს გოლდიუსკის უბნამდე *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 20, ფურც. 3]* 1889 წლის 4 მარტს სათათბირომ განიხილა ბათუმში მიწის საკუთრების საკითხი. რუსეთის ხელისუფლება გადაწყვეტილებებს ღებულობდა საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე და ძირითადად ეყრდნობოდა რუსულ კანონებს. რუსეთის ხელისუფლებას ეშინოდა იმის,რომ ქალაქის მიწები არ გადასულიყო უცხოელების ხელში *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 36 ფურც. 7]*

ქალაქში დიდი ყურადღება ექცეოდა სარელსო გზის გაყვანას. ქალაქის შიდა გზები ბათუმის პორტს სარელსო გზით უკავშირდებოდა. 1889 წლის 20 ნოემბერს დამტკიცეს სარელსო გზა, რომელიც გადიოდა ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარი ხაზიდან, მოქალაქე იოსელიანის სახლის და ზღვისპირა პარკის მიმართულებით, ასევე ზღვისპირა პარკის მხრიდან ბურუნ-თაბიეს კონცხის გასწვრივ, სადაც დამბას აშენებდნენ. მოქალაქე ანისიმოვს დაეკალა აღნიშნული სარელსო გზის მშენებლობის საფასურის გადახდა *[ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 71 ფურც. 1]*

ქალაქის სათათბიროს ქალაგარეთ მგზავრობისთვის დაწესებული ჰქონდა შემდეგი ფასები: კაპანდიდამდე 2 მან., უკუმიმართულებით 3 მან., აჭარისწყლის გზაზე 3,50 კაპ., უკუმიმართულებით 5 მან., ახალშენის გზაზე 1.50, უკუმიმართულებით 2 მან. მოუწესრიგებელ გზებზე ფასებს არ აწესებდნენ [*ასს. ფ. ი-7, ან. 1, ს. 71 ფურც. 19]*

1889 წლის 23 ოქტომერს ბათუმში გაიხსნა ახალი სამხრეთის ქუჩა. ქუჩების მშენებლობასთან დაკავშირებით ცხადდებოდა ტენდერი. წარმოებდა ყოველი ქუჩის პროექტირება, მასზე არსებული არხებით და ხიდებით. აჭარის მოსახლეობა ინტერესით და ხალისით ხვდებოდა ყოველი ქუჩის გახსნას და უსასყიდლოდ უთმობდნენ საკუთარ მიწას. რუსები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ იმ ქუჩების მოწესრიგებას, რომელზეც საჯარისო ნაწილების გადაადგილება ხდებოდა.

(გაგრძელება იქნება)

მერაბ მეგრელიშვილი

„წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის“ შესახებ პრემიერა გაიმართება

ალიონი. 17 ოქტომბერს მაყურებელი „წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის“ შესახებ პრემიერას იხილავს, ოზურგეთის სახელმწიფო დრამატულ თეატრში სამაგიდო სამუშაოები რეჟისორ გოჩა კაპანაძესთან ერთად მიმდინარეობს. 156-ე თეატრალური სეზონი მნიშვნელოვანი სიახლით დაიწყო. სპექტაკლი, რომლის პრემიერაც 17 ოქტომბერს „ექვთიმე ღვთისკაცის" წმინდანად შერაცხვის დღეს შედგება, ტრილოგიის მესამე ნაწილს წარმოადგენს, სპექტაკლზე რეჟისორი გოჩა კაპანაძე მუშაობს, ხოლო იდეის ავტორი და დადგმის ხელმძღვანელი ვასო ჩიგოგიძე გახლავთ.

წმინდანობა და ერისკაცობა ისე არავის შეუსისხლხორცებია, როგორც ექვთიმე თაყაიშვილს, იგი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით სამშობლოსათვის თავდადების მაგალითს წარმოადგენს. მისი წვლილი ფასდაუდებელია, როგორც ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის ამაღლების, საქართველოს ისტორიული ცხოვრების წარმოჩენის, მისი განძეულობის შეკრებისა და დაცვის დიდ მამულიშვილურ საქმეში

„მუსიკალური საღამოები“ გურიაში

ოზურგეთში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით, პროექტის - „მუსიკალური საღამოები“ ფარგლებში მასშტაბური ღონისძიება გაიმართა.

„ჭადრების ბაღში“ მოეწყო ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, შემეცნებითი და გასართობი სტენდები, ფოტოინსტალაციები და მოსასვენებელი სივრცეები; ჩატარდა თითების თეატრის სპექტაკლები და საპნის ბუშტების შოუ; ასევე, მოეწყო ანიმატორების წარმოდგენა, სახის მოხატვა, გვირგვინების და კერამიკის მასტერკლასები.

„მუსიკალური საღამო“ ირინა ბაირამაშვილის, თიკა მახალდიანის, თიკა ჯამბურიას, სოფო გელოვანისა და დუეტი „ჯორჯიას“ კონცერტით დასრულდა.

3 სექტემბერს მსგავსი ღონისძიება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში, ანა კალან-დაძის განახლებულ პარკში გაიმართა. აქ საღამო ღამის შოუს ბენდმა დაასრულა.

ვაშნარი– IV-VIII საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი

ალიონი. წელს ვაშნარის ექსპედიციას ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, არქეოლოგი **ვაჟა სადრაძე** უძღვებოდა არქეოლოგ **მერაბ ძნელაძესთან** ერთად.

ვაშნარის ტერიტორია ორ პროექტს მასპინძლობდა: სსიპ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ დაფინანსებული და ხელშეწყობილი არქეოლოგიური გათხრები; კულტურის სამინისტროს კონკურსის „არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად“ გამარჯვებული პროექტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად, რომლის ბიუჯეტი წელს 15 000 ლარს შეადგენდა.

არქეოლოგიური გათხრები ივლის-აგვისტოში მიმდინარეობდა.

გაიწმინდა მთლიანი პერიმეტრი. ძირითადი აქცენტი გაკეთდა ბაზილიკის, მავზოლეუმისა და საგალავნო სისტემის შესწავლაზე.

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** ოზურგეთში სამუშაო ვიზიტისას გურიის მხარის სახელმწიფო რწმუნებულ **გიორგი ურუშაძესთან** ერთად ვაშნარის ნაქალაქარის მიმდინარე არქეოლოგიური გათხრები მოინახულა და გაეცნო ძეგლის მდგომარეობას.

აღსანიშნავია, რომ 1993 წლიდან, პერიოდულად ტარდებოდა ძეგლის სტაციონარული გათხრები (გაიწმინდა და შესწავლილი სამნავიანი ბაზილიკა, მარტირიუმის ზედა ნაწილი და ციტადელის გალავნის ერთი მონაკვეთი). 2021 წელს, კულტურის მინისტრის ვაშნარში ვიზიტის შე-დეგად, არქეოლოგიურმა გათხრებმა კიდევ უფრო აქტიური და მასშტაბური სახე მიიღო. განსაკუთრებულია უკვე შესწავლილი სალოცავ-მარტირიუმი, როგორც ადრექრისტიანული საკულტო ძეგლი, რომლის ანალოგები მხოლოდ სირია-პალესტინაშია აღმოჩენილი (აშური, ხატრა, ბაბილონი და სხვ.). ბუნებრივია, ეს ფაქტი ძეგლის კვლევას ამ თვალსაზრისითაც უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს.

როგორ არქეოლოგები ამბობენ, ვაშნარი IV-VIII საუკუნეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია თავისი ციხე-ქალაქებით, მოწამის განსასვენებლით – მარტირიუმით, საკათედრო ტაძრით – სამნავიანი ბაზილიკითა და სასიმაგრო სისტემით. ამ კომპლექსში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მარტირიუმი, მოწამის საფლავზე აგებული საკულტო დანიშნულების ნაგებობა. მეცნიერთა ვარაუდით სამონასტრო კომპლექსი IV საუკუნეში აიგო და მან VIII საუკუნის შუა წლებში შეწყვიტა არსებობა (სავარაუდოდ, დაინგრა მურვან ყრუს შემოსევის შედეგად). ძეგლი, სამონასტრო ცხოვრებასთან ერთად, ქალაქის (სამრეწველო-სავაჭრო) ფუნქციასაც ითავსებდა. ძეგლის ფართომასშტაბიანი შესწავლა სიღრმისეულად წარმოაჩენს ადრეული შუა საუკუნეების ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებულ ისეთ საკითხებს, როგორიც არის გეგმარება, საგალავნო-დაცვითი სისტემის მშენებლობის სპეციფიკა, კოშკების გალავანთან კავშირი, საკულტო ნაგებობები.

როგორც არქოლოგმა მერაბ ძნელაძემ გვითხრა, დაფინანსების შემთხვევაში ისინი სექტემბერში ვაშნარში არქეოლოგიური სამუშაოების გაგრძელებას გეგმავენ.

ერეკლე თავბერიძე – გიმნაზიადის ჩემპიონია



ოზურგეთელი ფალავანი ერეკლე თავბერიძე ისევ ჩემპიონია!

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული ჭიდაობის სექციის სპორტსმენი **ერეკლე თავბერიძე გიმნაზიადის ჩემპიონი გახდა!**

ოზურგეთელი მოჭიდავე (57კგ) ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში სასკოლო მსოფლიო ოლიმპიადის – გიმნაზიადის ოქროს მედალოსანია.

ერეკლე თავბერიძემ წელს გიმნაზიადასთან ერთად ევროპის ჩემპიონატი ორ ასაკში – 15 და 17 წლამდელთა შორის მოიგო (მწვრთნელები – ძმები ზურაბიანები).

სოფელ აკეთში დოღი გაიმართა

სოფელ აკეთში დოღი გაიმართა.

მასში მონაწილეობას 20-მდე ცხენოსანი იღებდა.

სხვადასხვა დისტანციაზე გაიმარჯვეს **გია ღუმბაძემ, სბა გუმბარიძემ და კონსტანტინე კაჭანტირაძემ.**

აკეთში დოღს ლანჩხუთის **მერი ალექსანდრე სარიშვილი** მოადგილე **თორნიკე ტიკაძესთან** ერთად ესწრებოდა. მათ გამარჯვებულებს თასები და მედლები გადასცეს.

ღონისძიება მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებითა და მხარდაჭერით ჩატარდა.

ღრუბელი +21+29
5 სექტემბერი
სამშაბათი

ღრუბელი +18+27
6 სექტემბერი
ოთხშაბათი

ძლიერი წვიმა +18+25
7 სექტემბერი
ხუთშაბათი

ძლიერი წვიმა +18+25
8 სექტემბერი
პარასკევი

მზე, ღრუბელი +15+23
9 სექტემბერი
შაბათი

ლიერი წვიმა +13+18
10 სექტემბერი
კვირა

წვიმა +14+18
11 სექტემბერი
ორშაბათი